

სტრატეგიული განვითარების
გეგმა

2025-2031 წ.წ.



დამტკიცების თარიღი: 18.12.2024 წელი

გადაწვევების N: აკად. საბჭოს სხდომის
ოქმი N8

სტრატეგიული განვითარების
გეგმა 2018-2024 წ.

სარჩევი

შესავალი.....	3
მისია, ხედვა, ღირებულებები.....	4
მიზნები.....	6
დაგეგმვის პროცესი	7
SWOT ანალიზი	8
სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები	11
მონიტორინგი და შეფასება	15

შესავალი

2013 წლის 10 ოქტომბერს შ.პ.ს „ახალ უმაღლეს სასწავლებელს“ (შემდგომში, „ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნი“, ნიუუნი“ ან „სასწავლებელი“) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

მას შემდეგ, ნიუუნი სტუდენტებს სთავაზობს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას, რაც გულისხმობს თანამედროვე, სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას მაღალკვალიფიციური, გამოცდილი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით.

ნიუუნი ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს; მუდმივად ავითარებს საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლება-სწავლის, სერვისების ხარისხს.

ნიუუნი ქმნის შესაძლებლობების ფართო არეალს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნისათვის აკადემიური განათლების მქონე კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ნიუუნი არის სტუდენტთა და პერსონალის პიროვნულ, აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ის სთავაზობს სტუდენტებს მრავალფეროვან მხარდამჭერ, განვითარებაზე მიმართულ სერვისებსა და სხვადასხვა მექანიზმს, მხარს უჭერს

მათ წარმატებას; პერსონალის უწყვეტი განვითარება, მათი მხარდაჭერა პროფესიული განვითარების გზაზე და მათი კმაყოფილების უზრუნველყოფა არის სასწავლებლის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

როგორც ახალგაზრდა ინსტიტუცია, ნიუუნი მიზნად ისახავს რეპუტაციის, პრესტიჟისა და მაღალი ნდობის მოიპოვებასა და შენარჩუნებას, უმაღლეს საგანმანათლებლო ბაზარზე წარმატებულ პოზიციონირებას.

წინამდებარე „სტრატეგიული განვითარების გეგმა“ ასახავს ნიუუნის ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს, რაც უზრუნველყოფს მისიის განხორციელებას და დასახული მიზნების მიღწევას; მასში კონკრეტდება დაწესებულების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და სამომავლო აქტივობები, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტიტუციის ყოველდღიური საქმიანობის შესაბამისობას მის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებთან და განაპირობებენ ნიუუნის ხანგრძლივ ეფექტიანობას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა ინსტიტუციის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობით და წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული განვითარების ორიენტირს მომდევნო 7 წლის მანძილზე.

მისია, ხედვა, ღირებულებები

მისია

ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დემოკრატიული ღირებულებების, მოქალაქეობრივი თვითშეგნების, განათლების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მათთვის ხარისხიანი ცოდნის მიწოდება; კვლევითი საქმიანობის განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, მათი პიროვნული და პროფესიული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი, კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სტუდენტთა წარმატების ხელშეწყობა მრავალფეროვანი აკადემიური, პროფესიული, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების შეთავაზებით.

ხედვა

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუნი წარმოადგენს ევროპული სტანდარტების შესაბამის, სტუდენტისა და პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს საგანმანათლებლო და სოციალურ მხარდაჭერას; აქვს მაღალი ნდობა და საყოველთაო აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

ღირებულებები

- სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა;
- კეთილსინდისიერება;
- უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა;
- აკადემიური თავისუფლება;
- გუნდურობა;
- გამჭვირვალობა.

მიზნები

- პოტენციურ დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მათ გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა, სწავლა-სწავლების უახლესი მეთოდების დანერგვა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;
- სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს დანერგვა და მუდმივი განვითარება, სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში;
- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა/წახალისება;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა;
- საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა და სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების შეთავაზება;

- კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.


დაგეგმვის პროცესი

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი წარმოადგენს სასწავლებლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, გუნდური ძალისხმევით. სტრატეგიული გეგმა დაეფუძნა სასწავლებლის მისიას, ხედვას, ღირებულებების, შემუშავდა SWOT ანალიზზე დაყრდნობით, ასევე სამუშაო ჯგუფის მიერ გათვალისწინებული იქნა წინა საანგარიშო პერიოდის სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო ტენდენციები განათლებისა და შრომის ბაზარზე.

შედეგად შემუშავდა სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) გეგმა და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი), რომელიც სტრატეგიული განვითარების გეგმის განუყოფელი ნაწილია.

სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა ინსტიტუციის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, კერძოდ, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების თანამონაწილეობით.

გრაფიკი - „ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის“ სტრატეგიული დაგეგმვის შემადგენელი კომპონენტები




SWOT ანალიზი

SWOT ანალიზის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასწავლებლის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხედვა; მოხდა სასწავლებლის შიდა ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა/ანალიზი, საკვანძო კომპეტენციების განსაზღვრა და გარე ანალიზი - გარე არეს შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრა/ანალიზი.

სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფისა და ჩართული ერთეულების/დაინტერესებული მხარეების მიერ განისაზღვრა ორგანიზაციის შიდა და გარე ფაქტორები, შიდა რესურსებისა და გარე არეს შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა ნიუუნის შესაძლებლობები, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავებულ იქნა სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.

Strengths - ძლიერი მხარეები	Weaknesses - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სტუდენტებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი; <input type="checkbox"/> სამართლიანი გარემო; <input type="checkbox"/> სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები; <input type="checkbox"/> კვალიფიციური პერსონალი; <input type="checkbox"/> პერონალისა და სტუდენტების მოტივაციის სისტემა; <input type="checkbox"/> პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი; <input type="checkbox"/> აუცილებელი რესურსით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა; <input type="checkbox"/> აქტიური და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება; <input type="checkbox"/> პოტენციური დამსაქმებლების მზარდი რიცხვი და დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმები; <input type="checkbox"/> სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შიდასაგრანტო დაფინანსების სისტემა; <input type="checkbox"/> გამართული მენეჯმენტი, გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღების პრაქტიკა; <input type="checkbox"/> თანამშრომელთა მოტივირებული გუნდი და გუნდური მუშაობა; <input type="checkbox"/> პოზიტიური ორგანიზაციული კულტურა; 	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ცნობადობის ნაკლებობა; <input type="checkbox"/> სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა ჩარიცხვის დაბალი მაჩვენებელი; <input type="checkbox"/> გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვნების ნაკლებობა თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე; <input type="checkbox"/> რეკრეაციული სივრცის სიმწირე; <input type="checkbox"/> უცხოელი პერსონალის ჩართულობის ნაკლებობა; <input type="checkbox"/> მაღალრეიტინგული საერთაშორისო პუბლიკაციების ნაკლებობა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია; <input type="checkbox"/> ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარების საჭიროება; <input type="checkbox"/> კვლევითი საგრანტო პროექტების ნაკლებობა.

<input type="checkbox"/> გახსნილობა და გამჭირვალობა.	
Opportunities - შესაძლებლობები	Threats - საფრთხეები
<input type="checkbox"/> ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება; <input type="checkbox"/> დამსაქმებელთა და სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა შორის აქტიური თანამშრომლობა; <input type="checkbox"/> საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება; <input type="checkbox"/> შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაცია; <input type="checkbox"/> ადგილობრივი და უცხოელი პრაქტიკოსების მოზიდვის შესაძლებლობა; <input type="checkbox"/> 180 კრედიტიანი საბაკალავრო და 60 კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა; <input type="checkbox"/> ონლაინ სწავლების დანერგვა.	<input type="checkbox"/> საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენციის ზრდა; <input type="checkbox"/> კონკურენტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სწრაფი ინფრასტრუქტურული განვითარება; <input type="checkbox"/> ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; <input type="checkbox"/> გაუთვალისწინებელი საკანონმდებლო ცვლილებები. <input type="checkbox"/> სწრაფად ცვალებადი გარემო



სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები

სტრატეგიული მიმართულება 1 - საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 1.1 - არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 1.2 - ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;

სტრატეგიული მიზანი 1.3 - სწავლება-სწავლის პროცესის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 1.4 – დამსაქმებელთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში;

სტრატეგიული მიზანი 1.5 - კვლევითი პროდუქტიულობისა და ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიმართულება 2 - ინსტიტუციური ზრდა და განვითარება

სტრატეგიული მიზანი 2.1 - მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 2.2 - ადამიანური რესურსის გაძლიერება და უწყვეტი განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 2.3 - საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;

სტრატეგიული მიზანი 2.4 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია და სტატუსის ცვლილება სამაგისტრო სწავლების უზრუნველყოფით.

სტრატეგიული მიმართულება 3 - ხარისხის კულტურა და განვითარება

სტრატეგიული მიზანი 3.1 - მართვის ეფექტიანობის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 3.2 - ხარისხის კულტურის გაძლიერება და უწყვეტი განვითარება.

სტრატეგიული მიმართულება 4 - საზოგადოებასთან ურთიერთობა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა

სტრატეგიული მიზანი 4.1 - საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლება;

სტრატეგიული მიზანი 4.2 - საზოგადოებასთან თანამშროლობის და მესამე მისიის ფარგლებში საქმიანობის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 4.3 - მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ხელშეწყობა.

სტრატეგიული მიმართულება 5 - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა

სტრატეგიული მიზანი 5.1 - საკონსულტაციო და კარიერული სერვისების უწყვეტი განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 5.2 - სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 5.3 - კურიკულუმსგარე აქტივობების მხარდაჭერა;

სტრატეგიული მიზანი 5.4 - კურსდამთავრებულებთან კავშირების გაძლიერება;

სტრატეგიული მიზანი 5.5 - სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა.

არსებული/მოდიფიცირებული მიზნებიდან გამომდინარე შემუშავდა სასწავლებლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის აუცილებელი ღონისძიებები და მათი განხორციელების თანმიმდევრობა;
2. სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები;
3. თითოეული სტრატეგიული მიმართულების რეალიზებისათვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები;
4. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების ვადები;
5. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ინდიკატორები.

სტრატეგიული გეგმის სამოქმედო ნაწილის ქმედითი ხასიათის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესასრულებელი სამუშაოებისა და ღონისძიებების დეტალურად განსაზღვრა თითოეული სტრატეგიული მიზნის ამოცანების მიხედვით.

მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შესრულების შეფასება ხორციელდება სასწავლებლის „სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, განსაზღვრული მეთოდოლოგიით, მექანიზმებითა და პროცედურებით.